საქართველოს მთავრობის

დადგენილება №369

2019 წლის 6 აგვისტო

ქ. თბილისი

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 13415.00 კვ. მ გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლისა და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 13415.00 კვ. მ გეგმარებითი არეალის (მიწის ნაკვეთები (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით: №64.30.07.298; №64.30.01.772; №64.30.01.771; №64.30.07.381; №64.30.07.382; №64.30.01.071; №64.30.01.070; №64.30.01.454) განაშენიანების რეგულირების გეგმა თანდართული დოკუმენტაციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**